ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 მარტი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 53 (10 222) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ნაპოვნი“ მედალი

გაზეთ „ლელოს“ 13 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა უნგრეთში გამართული ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირის შედეგების შესახებ. მითითებული იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონი კობა კურტანიძე, რომელიც მძიმე წონაში ასპარეზობდა, მესამე ადგილისათვის გამართულ შეხვედრაში დამარცხდა და პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა.

მაგრამ ეს თურმე საკდესის შეცდომა გახლდათ. კობა კურტანიძე მართლაც დამარცხდა [illegible] ჰიდავესთან, [illegible] ში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კობამ მხოლოდ ჰანტეით (მსაჯთა გადაწყვეტილებით) წაგო. შემდგომ კი მან ყველა მეტოქე დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, სხვათა შორის, გადამწყვეტ შეერკინებაში კურტანიძემ ცნობილ ფრანგ ძიუდოისტს როჟე ვაშონს მოუგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჯერად — ევროპის თასი

მსოფლიოს ექსჩემპიონი და სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი რაპირით ფარიკაობაში, 27 წლის ვლადიმერ აფციაური „დინამოს“ საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ევროპის თასის მფლობელი გახდა.

ეს შეჯიბრება ორიოდე დღის წინ პარიზში ჩატარდა. დინამოელებმა სძლიეს ისრაელის ნაკრებს (9:2), საფრანგეთის ორ კლუბს (9:7 და 8:8) და ფინალში უნგრეთის ეროვნულ გუნდს შეხვდნენ. ამ მიკრო-



მატჩში სამივე შერკინება მოიგო ვლადიმერ აფციაურმა, რომელიც, საერთოდ, გუნდურ პირველობაში უძლიერეს მებრძოლად ითვლება. საბოლოოდ მისმა გუნდმა დაამარცხა უნგრელები (9:1) და ევროპის თასი მოიპოვა.

* * *

სურათზე: ვლადიმერ აფციაური.

მაინც მოიგეს ორივე მატჩი

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა რამდენიმე ძნელი თამაში ჩაატარა სტუმრად და ახლა ცოტა „სული მოითქვა“, როცა შინ უმასპინძლა ტარტუს უსკ-ს.

პირველი შეხვედრის დასაწყისიდანვე ჩანდა, რომ ჩვენს გუნდს უჭირდა თამაში, რადგან მისი ოთხი ძირითადი მოთამაშე ტრავმებით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდეგ პირველად გამოვიდა სარბიელზე. თუმცა პირველი ტაიმი თბილისელებმა მოიგეს 37:34.

ქართველი კალათბურთელები შესვენების შემდეგ უფრო მობილიზებულად და აქტიურად თამაშობდნენ და უკვე მეათე წუთისთვის წინ იყვნენ 13 ქულით — 63:50. მაგრამ როგორც ხშირად ხდება, მათ გამარჯვება ნაადრევად ირწმუნეს და ამისთვის კინაღამ დაისაჯნენ. ცამეტქულიანი სხვაობა თანდათან შემცირდა და ბოლო წუთზე სტუმრებს რომ ზუსტად ეთამაშათ, საკითხავია, ვინ გაიმარჯვებდა. საბედნიეროდ, სტუმრებმაც ვერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა და გამარჯვება თბილისელ კალათბურთელებს დარჩათ — 71:69.

განმეორებით შეხვედრაში მასპინძლებმა უკეთესად ითამაშეს, განსაკუთრებით — მეორე ტაიმში. ამის დასტურია ისიც, რომ სტუმრებმა ტაიმის დაწყებიდან ოთხი წუთის განმავლობაში ვერ შეძლეს ბურთის ჩაგდება, რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდის დაცვის „დახმარებით“. საბოლოოდ, ჩვენმა კალათბურთელებმა კვლავ მეტად საჭირო და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 89:67. პირველ შეხვედრაში თბილისელთა გუნდში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ნ. კურტანიძე (18 ქულა), განმეორებითში — ნ. ლორია (27 ქულა) და ვ. კოზლოვა (20 ქულა).

შემდეგ მატჩებს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელები 21- 22 მარტს კვლავ თბილისში ჩაატარებენ. მათი მეტოქე იქნება ერთ-ერთი ძირითადი კონკურენტი I ლიგის საკავშირო გათამაშებაში, ლენინგრადის „ვოლნა“.

გია ბურდული.

მაიმი მეექვსე პარტიაში

მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურში გრძელდება ჰადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ანატოლი კარპოვსა და იან ტიმანს შორის. მას შემდეგ, რაც მეექვსე პარტიაში აღინიშნა საყაიმო შედეგი, ანგარიში გახდა 4:2 კარპოვის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

ტალინი. ადგილობრივი „კალევისა“ და რიგის ვეფ-ის ორთაბრძოლაში უფრო საინტერესო და დაძაბული იყო პირველი ტაიმი, რომელიც მასპინძლებმა ერთი ქულის სხვაობით მოიგეს — 42:41. შესვენების შემდეგ ინიციატივა „კალევის“ მხარეს გადავიდა, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც — 87:78.

ლენინგრადი. ჩემპიონატის ერთიროვნულმა ლიდერმა მოსკოვის „დინამომ“ მოულოდნელად წაიბორძიკა ადგილობრივ „სპარტაკთან“ შეხვედრაში. ტაიმი დინამოელებმა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს (48:46), შეხვედრა კი ორქულიანი სხვაობით დამთეს — 87:89.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მარტისთვის

„დინამო“ (მ.)	39	29	10	68
ცსკა	35	30	5	65
„კალევი“ (ტალ.)	38	25	13	63
ვეფ (რიგა)	39	23	16	62
„ბუდიველ.“ (კ.)	36	23	13	59
„სპარტ.“ (ლენ.)	39	19	20	58
„ჟალგ.“ (კაუნ.)	37	18	20	54
ასკ (ალმა-ათა)	33	19	14	52
რტი (მინსკი)	40	12	28	52
„შახტ.“ (დონ.)	40	12	28	52
„დინ.“ (თბილისი)	38	12	26	50
„სტატიბა“ (ვილნ.)	40	6	34	46

სამშაბათიდან სამშაბათამდე

● **მოსწავლეთა მომავალი საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადებიან საქართველოს ნაკრები გუნდები. როგორ ემზადებიან? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცეს ხაგანგეგნო კომისიამ, რომელშიც შევიდნენ საქართველოს სპორტსახკომის ინსპექციის საქართველოს განათლების სამინისტროსა და ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები.**

● რუსთავის ახალ და ,ეთილმოწყობილ საცურაო აუზში, რომელიც გაერთიანება „აზოტს“ ეკუთვნის, პირველად ეწყობა სინქროხულ ცურვაში თბილისის ნაკრები გუნდის სასწავლო-საწვრთნელი შეკრება. გუნდი იქ საქართველოს სპარტაკიადისთვის მოემზადება.

● **თბილისში გრძელდება მოსწავლეთა საჭალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები.**

● საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდები (ახალგაზრდული, ძირითადი) სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე ჩავიდნენ ლესელიძეში.

● **მძლეოსნობის სპორტულ-მეთოდურმა საწარმოო გაერთიანებამ შეიმუშავა მწვრთნელთა ანაზღაურების ახალი სისტემის პროექტი, რომელიც სპორტულ ორგანიზაციებში განხილვის შემდეგ სპორტსახკომს გადაეცემა დასამტკიცებლად.**

● გადაიდგა პირველი ნაბიჯები დასავლეთ გერმანიის ფირმა „ადიდასსა“ და საქართველოს წარმომადგენლებს შორის თბილისში მძლეოსნური ფეხსაცმლის წარმოების ხაზის დამონტაჟების საკითხის შესათანხმებლად.

● **მოსკოვის ფიზკულტურის ცენტრალურმა ინსტიტუტმა დაიწყო ახალკურსდამთავრებულთა „გაყიდვა“. ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა სამუშაოდ მიღება, გადაახდევინებენ იმ თანხას, რაც თითოეული სპეციალისტის მომზადება დაჯდა. ეს ხაკითხი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში განხილვის სტადიაშია. ემზადებიან აგრეთვე ფასიანი სწავლების შემოღების წინადადების განსახილველად.**

● დაიწყო ფეხბურთში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალისთვის მზადება. ჩემპიონატი გაიხსნება 30 მარტს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

● **სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ბიუჯეტს ამ დღეებში დაემატება ერთი მილიონი მანეთი პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს სახსრებიდან.**

სსრ სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი და მესამე...

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ჯემალ მჭედლიშვილმა და სხვა ბევრმა ცნობილმა სამბისტმა მიიღო მონაწილეობა არმიელთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელსაც კიევმა უმასპინძლა. ქართველმა სპორტსმენმა, როგორც სჩვევია, დამაჯერებლად ჩაატარა ყველა შეხვედრა და პირველი ადგილი დაიკავა.

უთუოდ აღსანიშნავია თბილისელი ჭაბუკის მევლუდ მელაძის გამოსვლაც. იგი 1972 წელსაა დაბადებული, მაგრამ უფროსთა ჩემპიონატშიც ისახელა თავი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 52 კგ წონითს კატეგორიაში.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა **სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის** წოდება მიანიჭა:

კალათბურთში — მედეა მხეიძეს (თბილისი, „შევარდენი“);

კრივში — არმენ ბურდიანცს (თბილისი, „მართვე“);

ბატუტზე ხტომაში — ანა დოღონაძეს (მცხეთა, „მართვე“);

აკრობატიკაში — თამარ ბეროზაშვილს, თინათინ ვარდიძეს (ორივე თბილისი, „მართვე“).

ლიდერი პოზიციებს არ თმობს

ტუიბულის საპადრაკო — საშაშო კლუბში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის ჩემპიონატი.

გთავაზობთ V-VIII ტურების ტექნიკურ შედეგებს:

V ტური: მანაშეროვი-მანაგაძე 0:1, იაშვილი-გოგეშვილი 1:0, იგრიაშვილი-შალამბერიძე 0:1, ლეკვეიშვილი-ფორჩხიძე 0:1, ბერაძე-გოგიჩაიშვილი 1:0, სიჭინავა-ლაზარაშვილი 1:0, კეკელიძე-პოპოვი 0,5:0,5, კუპუხიძე-სუპატაშვილი 0,5:0,5.

VI ტური: სუპატაშვილი-სიჭინავა 1:0, შალამბერიძე-კუპუხიძე 1:0, მანაგაძე-იგრიაშვილი 1:0, მელქონიანი-იაშვილი 1:0, პოპოვი-ბერაძე 1:0, გოგეშვილი-ლეკვეიშვილი 0:1, ფორჩხიძე-კეკელიძე 0:1, გოგიჩაიშვილი-მანაშეროვი 0,5:0,5.

VII ტური: ლეკვეიშვილი-მელქონიანი 0:1, ბერაძე-ფორჩხიძე 1:0, მანაშეროვი-პოპოვი 0:1, კუპუხიძე-მანაგაძე 0:1, იგრიაშვილი-გოგიჩაიშვილი 0:1, ლაზარაშვილი-სუპატაშვილი 0:1, კეკელიძე-გოგეშვილი 0,5:0,5, სიჭინავა-შალამბერიძე 0,5:0,5.

VIII ტური: შალამბერიძე-ლაზარაშვილი 1:0, მელქონიანი-კეკელიძე 1:0, გოგიჩაიშვილი-კუპუხიძე 1:0, მანაგაძე-სიჭინავა 1:0, ფორჩხიძე-მანაშეროვი 1:0, გოგეშვილი-ბერაძე 1:0, პოპოვი-იგრიაშვილი 1:0, იაშვილი-ლეკვეიშვილი 0,5:0,5.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ ერთიროვნულად ლიდერობს კახა შალამბერიძე — 7,5 ქულა, შემდეგ მოდიან: იანის პოპოვი (ორივე — თბილისი) — 6,5, ხვიჩა სუპატაშვილი — 6 (7-დან), ნუკრი მანაგაძე (ორივე — ქუთაისი) — 6, გივი გოგიჩაიშვილი (თბილისი) — 5,5, ფელიქს მელქონიანი (ბათუმი) — 5 (7-დან), ალექსი ლაზარაშვილი, აკაკი იაშვილი (ორივე — თბილისი) — 3,5-3,5 (7-7-დან).

ვასილ ვაშაკიძე,
ტელეფონით „ლელოს“ სპეც. კორ.
ტუიბული.

წელეწადი-ეკიმიჩელი



დონეცკი. აქ გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე სერგეი ბუბკამ ახალი მსოფლიო რეკორდი დიამყარა (დარბაზებისთვის) — 6 მ 5 სმ.

ბრისბენი (ავსტრალია). 3 კილომეტრზე სიარულში თავისივე მსოფლიო რეკორდი 7 წამით გააუმჯობესა ადგილობრივმა მძლეოსანმა კერი სექსბიმ. ახალი რეკორდი 12 წუთსა და 06,42 წამს უდრის.

ვანკი (ნორვეგია). 10 კილომეტრზე რბოლით დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება თხილამურებში ქალთა შორის. პირველი ადგილი და საპატიო ჯილდო ლარისა ლაზუტინამ (სსრკ) მოიპოვა — 146 ქულა. ვაჟთა თასის გათამაშების ბოლო რბოლა 50 კილომეტრიან დისტანციაზე ცნობილი შვედი მოთხილამურის გუნდე სვანის გამარჯვებით აღინიშნა. მაგრამ მსოფლიო თასი ნორვეგიელ ვიკარდ ულვანგს დარჩა (145 ქულა), რომელმაც 1 ქულით გაუსწრო სვანს.



დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. უთოვლობის გამო დაუმთავრებელი დარჩა შეჯიბრება მხოლოდ სამთო-სათხილამურო სპორტში.

საქართველოს წარმომადგენლებმა წინა სპარტაკიადასთან შედარებით თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. ვრცელ მასალებს განვლილი სტარტების შესახებ „ლელოს“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ახლებურად მკვიდრდებიან

მორაბგეთა ეროვნული პირველობის მოახლოების კვალად ქართული რაგბის სამყაროში საფუძვლიანი ცვლილებები ხდება. სტუდენტური გუნდები, რომლებიც, ქართული რაგბის „ჟურუმთა“ მიერ „მამლუქთა“ გალმერთების გამო, აღარავის ახსოვდა და ლამის იყო დაშლილიყვნენ, ნელ-ნელა იკრებენ ძალას და საშინაო ასპარეზზე ახლებურად მკვიდრდებიან.

თუ აქამდე სტუდენტური რაგბი ოდენ „მამლუქთა“ აღსაზრდელად არსებობდა, შეცვლილმა ვითარებამ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს განსხვავებული მიზანი და ამბიცია გაუჩინა: რაკი დღესდღეობით ყველა ქართული გუნდი უფლებრივად გათანაბრდა და ერთ შეჯიბრებაშიც გამოდის, მაშ, რაღა აზრი ექნება, ჩვენი საუკეთესო მოთამაშეები „ელმავალსა“ და „მიმინოს“ რომ გადავცეთო?!

ჰოდა, სტუდენტებმაც ფეხზე მყარად დასადგომად, ანუ რიგიანი სავარჯიშო და სათამაშო პირობების შესაქმნელად, მუშაობა გააჩაღეს. მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენთან სტადიონების ქრონიკული დეფიციტია, რის გამოც „კარგი ცხოვრების“ მისაღწევად ბრძოლაა საჭირო, საბრძოლველად კი — იურიდიული გარანტიები.

ამგვარი გარანტიაა ოფიციალური ხელისუფლების მიერ აქამდე არსებული გუნდების რაგბის კლუბად აღიარება. ამ დასკვნამდე პირველი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი მისულა და „შევარდენი“ რაგბის კლუბად გარდაუქმნია.

„შევარდენის“ კლუბად ქცევა როგორაც მხედველობიდან გამორჩა ქართულ სარაგბო საზოგადოებრიობას. მაგრამ მას შემდეგ, რაც სამხატვრო აკადემიის გუნდმაც დააპირა კლუბის ჩამოყალიბება, იდეა ბევრს მოეწონა და, როგორც ჩანს, სულ მალე უნივერსიტეტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის მორაგბეებიც დაადგებიან შევარდენელთა და აკადემიელთა გაკვალულ გზას.

რაც შეეხება თავად სამხატვრო აკადემიას, ახლახანს თბილისის მთაწმინდის რაიონის აღმასკომმა ოფიციალურად აღიიცხა სასწავლებლის სარაგბო კლუბი, შაბათს კი აკადემიაში კლუბის გამგეობის არჩევნები მოეწყო. დამსწრეებმა პრეზიდენტად ვაჟა კუხიანიძე აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტად — გია ღლონტი, მენეჯერად — გია კუბლაშვილი, მდივნად — ვასილ გვაზავა, გუნდის მწვრთნელად —პაატა ნარიმანაშვილი, კლუბის საპატიო წევრებად კი — გურამ მოდებაძე და ჟურიკო ჯაფარიძე, ხალხი, ვინც გუნდს დიდი ამაგი დასდო ჩამოყალიბებიდან, 1983 წლიდან, დღემდე.

* * *

რაგბის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ ჯერ კიდევ შარშან შექმნილი საქართველოს რაგბის ასოციაციის (იგი საქართველოს რაგბის კავშირისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა) ერთი უმთავრესი მიზანთაგანი მოზარდთა და სტუდენტური რაგბის განვითარების სწორად წარმართვაა. გარდა ამისა, ასოციაცია დროებით იკავებს იმ მოთამაშეებს, ვისაც სხვადასხვა მიზეზის გამო მიუტოვებია „მამლუქთა“ გუნდები, მაგრამ რაგბის თამაში ალალად სურს, მითუმეტეს — ეროვნულ პირველობაზე.



ამის გამოა, რომ ასოციაციას წლევანდელ შეჯიბრებებში გამოჰყავს არა მარტო საყმაწვილო, არამედ — მოზრდილთა გუნდიც. მაგრამ, მოგეხსენებათ, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის გვარიანი თანხაა საჭირო, ასოციაცია კი, ჯერჯერობით მაინც, ხელმოკლედაა. ამიტომ მისი გამგეობის — პრეზიდენტ მიხეილ გარუჩავას, ვიცე-პრეზიდენტ ბიძინა გეგეიძის, მდივან ნუგზარ გაბრიჩიძის, ხაზინადარ მალხან ჭეიშვილის თხოვნით ვაუწყებთ საზოგადოებრიობას, რომ მას, ვისთვისაც ახლობელია ასოციაციის მიზნები და იდეალები და ვისაც ხელეწიფება ფულადი დახმარება, შეუძლია სათანადო თანხა გადარიცხოს ასოციაციის ანგარიშზე სსრკ ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველოში. ამ ანგარიშის ნომერია 001700913.

• • •

საქართველოს რაგბის კავშირის სამდივნო წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებს შეახსენებს, რომ გუნდების განაცხადებისა და მოთამაშეთა პირადი ბარათების წარმოდგენის ბოლო ვადაა მომდევნო ორშაბათი, 1990 წლის 26 მარტი.

პროფესია — მოწოდებით

ადამიანებს ბედნიერება სხვადასხვანაირად წარმოუდგენიათ, ზოგის აზრით, ბედნიერება ისაა, როდესაც კაცი თავის მოწოდებას მიაგნებს — იმ საქმეს აკეთებს, რაც მის ბუნებას მიესადაგება. ამ მხრივ მართლაც არა აქვს დასამდური თბილისის მე-12 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს აკაკი გოშაძეს. მას არა მარტო ლენინის რაიონში, მთელს ქალაქში სცემენ პატივს მაღალი კვალიფიკაციისა და პირადი ადამიანური ღირსებებისათვის. იგი ფიზკულტურის მასწავლებელთა რაიონული მეთოდგაერთიანების თავმჯდომარედ (მთავარი სპეციალისტი) აირჩიეს. ამას გარდა, მესამე წელია რაიონის საუკეთესო მასწავლებლად ასახელებენ. შესაშურია ბატონი აკაკის ერთგულება. იგი 40 წელია, რაც მე-12 სკოლაში მუშაობს, აქედან 38 წელი ამავე სკოლის სპორტულ დარბაზში ქალაქის განათლების სამმართველოს ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშის ჯგუფს ავარჯიშებს. ამ დროის განმავლობაში არაერთი სპორტის ოსტატი აღზარდა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს ჩემპიონმა ამირან ბერიანიძემ, როზა ბერიკაშვილმა, დავით ცირეკიძემ. მან გაუღვიძა ტანვარჯიშის სიყვარული საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონს დონარა ჯანუყვაშვილს. საბჭოთა კავშირის პირველობაზე გუნდური ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ბესიკ უდიშვილმა. ორი წელია აქ აღზრდილ ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი ქალაქის სკოლებს შორის პირველობას არავის უთმობს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბატონი აკაკი საკმაოდ კარგად თამაშობს ჭადრაკს. მას გაჰყავს შეჯიბრებაზე რაიონის მოჭადრაკეთა ნაკრები, ფიზკულტურის მასწავლებელი ფიზიკური აღზრდის საქმეში თვითონვეა ყველას მაგალითი.

— სამწუხაროდ, ჩვენში ფიზიკური კულტურა ისე ისწავლება, რომ ადამიანს ვარჯიში ცხოვრების წესად ვერ ექცევა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ დაწყებით კლასებში არასპეციალისტები ასწავლიან. არადა, სწორედ ამ ასაკში ხდება ბავშვის ჩვევების ფორმირება. ცოტაა კვირაში ორი გაკვეთილი. შარშან ექსპერიმენტული კლასი შევქმენი, რომელსაც „მიმინო“ ვუწოდე, ყოველდღე ვუტარებდი ტანვარჯიშის გაკვეთილს, კროსებს, შედეგი აშკარა იყო, ბავშვები ყველასგან გამოირჩეოდნენ სიმკვირცხლით და გამძლეობით. სამწუხაროდ, დრო აღარ მქონდა, რომ მათთან მუშაობა ბოლომდე გამეგრძელებინა. ძალიან ეფექტური იქნება, თუ კვირაში სამჯერ ორსაათიან, დაწყვილებულ გაკვეთილს ჩავუტარებთ...

დარბაზში სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ბავშვები შემოდიან. გვითხრა აკაკი გოშაძემ და ჩემდა მოულოდნელად ფორტეპიანოს მიუჯდა.

ბავშვებმა ქართული მუსიკის ჰანგზე მოთელვა დაიწყეს.

ნანა ბერიშვილი.
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.

• • •

სურათებზე: აკაკი გოშაძე აღსაზრდელთან მეცადინეობის დროს; ნორჩები მორიგ წვრთნაზე.

ჯ. კასრაძის ფოტოები.

უფრო დაწვრილებით

სოხუმის „დინამოს“ ირგვლივ

17 მარტს სოხუმში, საოლქო პოლიტგანათლების სახლის საქტო დარბაზში, გაიმართა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის, სოხუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭოს, კლუბის დამფუძნებელი ორგანიზაციების, საქართველოს ალკკ-ს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის სპორტსახკომის და საზოგადოება „დინამოს“ საოლქო საბჭოს წარმომადგენელთა ერთობლივი გაფართოებული სხდომა. ამ თავიდან ბოლო საფეხბურთო კონფერენციას ესწრებოდნენ აფხაზეთის ყველა რაიონის და ქალაქის ფეხბურთის სპეციალისტები, წარმომადგენლები. მოწვეული იყო 118 კაცი, ესწრებოდა 89. ეს ციფრები გაგვაცნო სოხუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, სხდომის ხმის დამთვლელი კომისიის წევრმა ნოდარ კაკულიამ.

თავიდანვე დელეგატების ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ სხდომაზე მოწვეული არ იყო სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. ამის თაობაზე პირდაპირ განაცხადა სხდომაზე „დინამოს“ კლუბის საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა გურამ გაბისკირიამ, საქართველოს ალკკ-ს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ელგუჯა ქავთარაძემ და სხვებმა.

სხდომა გახსნა სოხუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭოს პრეზიდენტმა, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვლადიმერ მიქანბამ. პრეზიდიუმში აირჩიეს 13 კაცი, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ამავე ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე.

ვლადიმერ მიქანბამ სიტყვა მისცა ნ. ახალკაცს. თითქმის 80-წუთიან გამოსვლაში საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დაწვრილებით ახსნა 15 თებერვლის გადაწყვეტილების მიზანი და პერსპექტივები. თქვა, რომ საქართველოს აქვს ყველა პირობა ჩაატაროს სრულყოფილი ეროვნული ჩემპიონატი. შემდეგ მან გააცნო 15 მარტს მოსკოვში საქართველოს საფეხბურთო დელეგაციისა და ფიფა-ს გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერის შეხვედრის შინაარსი. ნ. ახალკაცმა, კერძოდ, თქვა, რომ ახლო მომავალში ფიფა-ს დაგეგმილი აქვს თავისი წესდების შეცვლა, რაც, ალბათ, საქართველოს ფედერაციას მისცემს საშუალებას ერთი-ორი წლის განმავლობაში გახდეს ფიფა-ს წევრი.

ნ. ახალკაცმა აღნიშნა ისიც, რომ მოქმედი კონსტიტუციით ჩვენს ფედერაციას იურიდიული უფლება აქვს გახდეს ფიფა-ს წევრი. შემდეგ უპასუხა შეკითხვებზე. იყო ასეთი შეკითხვაც: დაუშვებს თუ არა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია სოხუმის „დინამოს“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში, თუ საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაცია არ მისცემს ამაზე თანხმობას? პასუხი ასეთი იყო: „არა აქვს ამის უფლება ჩვენი თანხმობის გარეშე, რადგან ირღვევა წესდება. მე არ შემიძლია სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის კოლოსკოვის ნაცვლად გიპასუხოთ. მაგრამ ვიტყვი, რომ საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური ფეხბურთის ფედერაციების წესდებების მიხედვით საქართველოს არც ერთ გუნდს არა აქვს უფლება ითამაშოს სსრ კავშირის პირველობაში, თუ ჩვენმა რესპუბლიკურმა ფედერაციამ არ მისცა შესაბამისი თანხმობა“.

ამის შემდეგ ვლადიმერ მიქანბამ თქვა: ჩვენ გვქონდა კონსულტაციები ამ საკითხზე მოსკოვში და ვფიქრობთ სოხუმის „დინამოს“ დაუშვებენ სსრ კავშირის პირველობაში. რეპლიკა დარბაზიდან: „საიდან ასეთი თვითდაჯერება, რწმენება“. რეპლიკა უპასუხოდ დარჩა.

ამის შემდეგ კონფერენციაზე განიხილეს დღის წესრიგის მთავარი საკითხი — „სად ითამაშოს სოხუმის „დინამომ“, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თუ სსრ კავშირის პირველობის I ლიგაში?“ გამოითქვა სხვადასხვა აზრი. დარბაზში ვითარება დაიძაბა, ზოგიერთი აჰყვა ემოციებს. საკითხის განხილვა გადაწყდა ფარული კენჭისყრით. კონფერენციის რამდენიმე მონაწილემ, კერძოდ „დინამოს“ კლუბის საბჭოს წევრმა, აფხაზეთის ფინანსთა მინისტრმა რამაზ სიჭინავამ წინადადება წამოაყენა კენჭისყრის პროცედურა გადაედოთ ერთი კვირით, რადგან ეს საკითხი ძალიან რთული და აქტუალური. დასძინა, რომ ყველა უნდა დაფიქრდეს, წყდება გუნდის ბედი, საჭიროა დრო, მით უმეტეს ნოდარ ახალკაცის არგუმენტირებული, შინაარსიანი გამოსვლის შემდეგ.

● სამწუხაროდ, მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას და მიიღეს გადაწყვეტილება — ჩატარდეს ფარული კენჭისყრა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სხდომის 13 მონაწილემ კენჭისყრის დაწყებამდე დატოვა დარბაზი, მათმა უმრავლესობამ ჩაბარა დელეგატის მანდატი. კენჭისყრაზე უარი თქვა გალის რაიონის ოთხივე წარმომადგენელმა. დარბაზი დატოვა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა, სოხუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდიუმის წევრმა გურამ გაბისკირიამ. იგი კონფერენციაზე ორჯერ გამოვიდა, ახსნა, რომ საჭიროა გუნდის შენარჩუნება, რომ საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის თანხმობის გარეშე საკავშირო ფეხბურთის ფედერაცია, არსებული წესების მიხედვით, არ მიიღებს განაცხადს, და არც აქვს ამის უფლება.

კენჭისყრამდე პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს აგრეთვე სოხუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭოს წევრებმა ავთანდილ ბოკერიამ, ამრიკ მინჯიამ, ტარას ბელქანიამ, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ სერგო ფიფიამ და სხვებმა.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდა 86 კაცი. შედეგები გამოაცხადა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა სოხუმელმა ანატოლი მილჩენკომ. ხმების უმრავლესობით (71) სოხუმის „დინამოს“ სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოსვლა გადაწყდა.

ამავე დღეს დაბა ეშერის სპორტბაზაზე გაიმართა სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელების კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ კლუბის ხელმძღვანელები. კრების დამთავრების შემდეგ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ კაკულიამ გვითხრა, რომ 8 წამყვანი ფეხბურთელი (ბენიძე, ჟორჟოლიანი, დოჩია, მალანია, ფარულავა, ჩიხრაძე, ინალიშვილი, გოგრიჭიანი), გუნდის მეორე მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ირაკლი ქოიავა, ადმინისტრატორი აკაკი პაპავა და თავად ნ. კაკულია ტოვებენ სოხუმის „დინამოს“, რადგან არ ეთანხმებიან სსრ კავშირის პირველობაში გუნდის მონაწილეობას.

იმავე საღამოს ვესაუბრეთ სოხუმის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს ოლეგ დოლმატოვს. მან უხასიათოდ დაგვიმოწმა გუნდთან კონტაქტის შეწყვეტის ზემოაღნიშნული ფაქტი.

მეორე დღეს, 18 მარტს, კვლავ შევხვდით გურამ გაბისკირიას. მან თქვა, რომ სოხუმში უახლოეს დღეებში შეიქმნება ახალი საფეხბურთო გუნდი, სადაც ითამაშებენ ზემოაღნიშნული ფეხბურთელები და იმუშავებენ სოხუმის „დინამოდან“ წასული სპეციალისტები. ახალი გუნდის სახელწოდება ჯერ არაა დამტკიცებული.

თენგიზ პაპკორია.
„ლელოს“ კორ.
სოხუმი.

კონფლიქტის აღსაკვეთად

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერისა და აღმასკომის წევრის პაბლო პორტას მოსკოვში ყოფნის დროს ი. ბლატერმა განუმარტა სსრკ საფეხბურთო ლიგათა კავშირის ხელმძღვანელებს (ვ. პონედელნიკი, ო. ბაზილევიჩი, ვ. პეტროვი).

ი. ბლატერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია არასოდეს წინააღმდეგ არ წასულა რაიმე საფეხბურთო კავშირების ან ასოციაციების შექმნისადმი, რომ ეს თითოეული ქვეყნის საშინაო საფეხბურთო საქმეა, მაგრამ რაც შეეხება მათს საერთაშორისო ურთიერთობებს, ყოველი ასეთი აქცია აუცილებლად უნდა წარიმართოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით.

რაც შეეხება „ფიფა-ს მემორანდუმს“, ი. ბლატერმა დაადასტურა, რომ მსგავსი რამ მას პრესაში გამოსაქვეყნებლად არ გამოუგზავნია, ეს იყო მისი პირადი წერილი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ვ. კოლოსკოვისადმი.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებს სრული ინფორმაცია წარუდგინეს სსრკ საფეხბურთო ლიგების კავშირის საქმიანობის, სსრ კავშირში ფეხბურთელთა დამოუკიდებელი პროფკავშირების შექმნისა და 1991 წლის საკავშირო ჩემპიონატის სამზადისისადმი. მხარეები იმ საერთო დასკვნამდე მივიდნენ, რომ საკავშირო ფედერაციასა და ლიგათა კავშირს შორის წარმოქმნილი ყველა კონფლიქტური სიტუაცია უნდა გადაიჭრას მხოლოდ მოლაპარაკებისა და ურთიერთგაგების მეშვეობით.

საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში

17 მარტს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის შეხვედრები. მოსკოვის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ოდესის „ჩერნომორეცი“, ხარკოვის „მეტალისტისა“ და დუშანბეს „პამირის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. კიევის „დინამომ“ შინ ანგარიშით 1:0 მოუგო ერევნის „არარატს“. ყველათა შემადგენლობაში პირველად ითამაშა ა. ცვეიბამ, რომელიც ჯ. თბილისიდან გადმოვიდა.

წინადადებები — **სტრიქონები წერილებიდან**

რა ვუწოდოთ თბილისის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს

„მთაწმინდა“ (ალიკო აბაშიძე, გ.ძაბირაძე, ვ. მელიავა — სამივე თბილისი, გ. კვარაცხელია — ზუგდიდი, ვერა სიბაშვილი — გურჯაანი).

„იბერია“ (კოლექტიური წერილი: ზ. ბასილაშვილი, ბ. ჯავშანიშვილი, თ. გურგენიძე, ო. მუჩიაური, სულ 47 ხელმოწერა, კ. კოლხი, მ. ნადირაძე, ვ. ნადირაძე, ჯ. ნადირაძე, გ. ნადირაძე, ზაალ სიხარულიძე, ბერუაშვილი, ჩიხლაძე, მხეიძე, კაპანაძე, გ. ონოფრიშვილი, დ. იაშვილი. ყველა — თბილისი);

„დიდუბე“ (გიორგი მაჭავარიანი — ქუთაისი, ი. ელიზბარაშვილი, რ. ჩიხლაძე, დ. შანიძე, ნ. სირაძე, ნ. მეტრეველი და „საქნავთობის“ გეოლოგიური კანტორის სხვა თანამშრომლები, ა. მიშველაძე — ყველა თბილისი);

„ივერია“ (ი. თევზაძე, ლევან ხურციძე (ამ ავტორმა ემბლემაც შემოგვთავაზა) — ორივე თბილისი, ო. იმნაძე, თ. დუმბაძე — ორივე ბათუმი, ლეო ბერიძე — ქუთაისი);

„თბილისი“ (მერაბ ცაგარელი, თ. მეტრეველი, ვ. კუკულავა, თ. ნებიერიძე, ჯობა იმედაშვილი, ავთანდილ ბიწაძე, ე. ახალაძე, აგრეთვე გ. ასანიძე, ზ. ჩიქიძე, მ. კურტანიძე, ნ. ნოზაძე, კ. ბარგველაშვილი, ხ. გაბისონია, ზ. ჭიკაძე, ვ. ვადაჭკორია, ჯ. პატარაკაციშვილი, ა. დათიაშვილი, ა. აბრამიძე, ფ. ჭუმბურიძე. სულ 100-კაციანი შემადგენლობა. ყველა — თბილისი, მ. სხილაძე — რუსთავი, გ. მუმლაძე — ზესტაფონი, ზ. ორთოიძე — თერჯოლა, ბ. კიკნაძე — სოხუმი, ვ. ბარამიძე — ბორჯომი, ს. კვირიკაშვილი — ხარაგაული).

„ბერმუხა“ (ნ. ჩახავა — თბილისი);

„მტკვარი“ (ლევან შველიძე — ქუთაისი);

„ეროსი“ (გ. მენაბდე — თბილისი);

„ლელო“ (ნოდარ მუკბანიანი — თბილისი, ე. ხვედელიძე — ჭიათურა, ნ. სა[illegible] — [illegible] დეხი, გ. მუმლაძე — რუსთავი);

„ბორბალი“ (გ. აფციაური — მანგლისი).

მკითხველებს შევახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კრებაზე გადაწყდა გუნდს შეცვლოდა სახელი და არჩევანი „იბერიაზე“ შეჩერდა. ამასთან კლუბის ხელმძღვანელების თხოვნით ეს სახელი გაზეთის ფურცლებზე გამოვიტანეთ საყოველთაო განსჯისა და სხვა წინადადებებისათვის, რამაც ფართო საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

რა ვუწოდოთ „დინამოს“ სტადიონს?

„დიდუბე“ (მურთაზ მეჭურეკლიშვილი, ტრისტან კიკვაძე — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები, ბედო დოლიძე, თ. შარიფაშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ნ. სირაძე, რ. ჩიხლაძე — ყველა თბილისი, შალვა დოლიძე, გიორგი ღლონტი, ენვერ ქინქლაძე, გულნარა ბერაძე, ნათელა მამინაშვილი, ციური მამალაძე, გულიკო მდინარაძე, მალვინა ბურჭულაძე. ყველა — ოზურგეთი, გიორგი მაჭავარიანი — ქუთაისი;

„თბილისი“ (ვაჟა კეკელავა, გ. მაჭავარიანი, გ. დარჩია, მ. დეკანოსიძე, ნ. ცხადაძე, ვ. იმერლიშვილი, თ. შენგელია, ე. სამხარაძე. ყველა — თბილისი, ვ. ბარამიძე);

„ივერია“ (ო. იმნაძე — ბათუმი, ე. მელაძე — თბილისი);

არიან ისეთებიც, რომლებიც მოითხოვენ „დინამოს“ სტადიონს „შოთა რუსთაველი“ ან „დავით აღმაშენებელი“ ეწოდოს. (გ. ყურაშვილი — ქუთაისი, ე. ბანცაძე — ხაშური).

სტადიონი თანასწორთა შეკრების ადგილია

1966 წელი. ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მინდვრიდან გააძევეს არგენტინელთა კაპიტანი რატინი. განაწყენებული გავიდა იგი მინდვრიდან, კიბეებს აუყვა და.. ინგლისის დედოფლის ლოჟის გვერდით ჩამოჯდა სკამზე.

1978 წელი. თბილისის „დინამო“ სსრკ ჩემპიონი გახდა. ზეიმი სპორტის სასახლეში. იუბილარები საგანგებოდ აგებულ ბაქანზე სხედან. მოედანზე მოცეკვავენი როკავენ მათ პატივსაცემად, სახით... მთავრობის ტრიბუნისკენ და რადგან ფეხბურთელების ფიცარნაგი მთავრობის ტრიბუნის საწინააღმდეგო მხარეს იმყოფება, ჩემპიონები მსახიობთა ზურგებს მისჩერებიან.

გადავხედოთ ჩვენს ნებისმიერ სტადიონს: სულ ერთია, ქალაქისა იქნება ეს თუ სოფლისა. უმთავრესი ჰდგილი დასავლეთ ტრიბუნის ცენტრში უკავია შემოღობილ, გაინდივიდუალებულ ლოჟებსა და სექტორებს. თანაც დიდ სტადიონებზე მათი რკინა-ბეტონ — ჩაარმატურებული თავდაცვითი დიზაინი ისეთია, კაცს ეგონება ხალხი სპორტულ ასპარეზობას კი არ ესწრება, არამედ ნიურნბერგის პროცესს!

ზოგიერთი სტადიონის ასეთი „სპეცზონების“ ხვედრითი ფართობი, ლამის მეოთხედია საერთოსი.

ისევ ისტორიას მივმართოთ: 1919 წელი. ვაკის სტადიონი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უბრალო საჩრდილობლის ქვეშ განლაგებულა, თავიანთი უცხოელი სტუმრების თანხლებით, მაყურებელთა მასის შუაგულში. ეს კინოქრონიკამ შემოგვინახა.

დღეს მსოფლიოს უდიდეს სტადიონებზე, რასაკვირველია, არის საპრეზიდენტო ლოჟები, რომელსაც ქვეყნის ხელმძღვანელები იკავებენ ცერემონიებისა და სპორტული ასპარეზობების დროს (და სადაც, სხვათა შორის, მათი სტუმრებიც სხედან მასპინძლების გვერდით). არსებობს ჟურნალისტთა, სპორტის მეცნიერთა და ინვალიდთა საგანგებოდ გამოყოფილი ადგილები, მაგრამ ამ „სპეცადგილების“ რაოდენობა მკაცრადაა ლიმიტირებული და საერთო ტევადობის ჯამში უმნიშვნელოა. ჩვენთან კი რა ხდება? ნოინის ჩარდახების დარად ჩამწკრივებული „სამთავრობო“ ლოჟების მთელი სექტორები (!) ზიანს აყენებენ არა მარტო სტადიონის იერს, არამედ საზოგადოების ზნეობასაც.

საქართველოს ჩემპიონატს არ ეკადრება ასეთი ატრიბუტიკა. იგი არ შეესაბამება ჩვენს ტრადიციებს. სტადიონი თანასწორთა შეკრების ადგილია. ფეხბურთის წინაშე ყველა თანაბარია — მუშა იქნება ეს თუ მინისტრი.

საქართველოს ჩემპიონატს სტადიონებზე საკადრისი ატმოსფერო ესაჭიროება!

ალექსანდრე ძლენტი,
საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე.

დიახ, „თბილისი“

ხომ ხედავთ ბერლინის „დინამომ“ „ბერლინი“ დაირქვა, ბულგარეთის „ლევსკი-სპარტაკი“ უბრალოდ „ლევსკი“ გახდა. რატომ გვაფრთხობს, რომ თბილისის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს „თბილისი“ ეწოდოს?

ბ. გვილავა.

თბილისი.

ჟოსიმარი იტალიაში არ გაემგზავრება

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელმა ს. ლაზარონმა უარი თქვა თავისი გუნდის შემადგენლობაში შეიყვანოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მცველი ჟოსიმარი. ბრაზილიელებს კი მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლების მოგების რეალური შესაძლებლობა გააჩნიათ.

ჟოსიმარი ბრაზილიელთათვის 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გმირად იქცა, სადაც 2 გოლი გაიტანა, მაგრამ შემდეგ რამდენიმე სკანდალში იქნა მხილებული.

1987 წელს, როცა ბრაზილიის ნაკრებს ტურნე ჰქონდა ინგლისში, იგი არ დაბრუნდა სასტუმროში ღამის გასათევად, ხშირად აცდენდა თავისი კლუბის „ფლამენგოს“ საწვრთნელ ვარჯიშებს, სულ ახლახან, თებერვალში კი დაპატიმრებული იქნა იმის გამო, რომ ხელი გაარტყა პოლიციელს, რომელმაც იგი ამხილა კოკაინით ვაჭრობაში რომელიღაც ღამის კლუბში.

„ჟოსიმარს ადგილი არა აქვს ჩემს გუნდში. შეიძლება გამამტყუნონ ზედმეტი სიმკაცრისთვის, პედაგოგური ოსტატობის ნაკლებობისთვის, — განაცხადა ს. ლაზარონმა. — მაგრამ მე მირჩევნია იტალიაში წაეიყვანონ ის ფეხბურთელები, რომლებშიც დარწმუნებული ვარ. კარგი ატმოსფერო გუნდში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ძლიერი შემადგენლობა.“

ს. ლაზარონმა აგრეთვე განაცხადა, რომ ცვლილებას შეიტანს თავისი გუნდის თამაშის სტრატეგიაში და მიმართავს მოთამაშეთა განლაგებას სისტემით 3-5-2.

უახლოესი მატჩი ბრაზილიის გუნდს 28 მარტს აქვს ინგლისის ნაკრებთან.

რუმინელთა გეგმები

რუმინეთის ფეხბურთელთა ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის სამზადისის გეგმა გამოაქვეყნა მწვრთნელმა ემერიხ ენეიმ. როგორც მან განაცხადა, რუმინეთის საფეხბურთო ჩემპიონატი დამთავრდება 9 მაისს, ერთი კვირის შემდეგ ნაკრები შეუდგება საგანგებო მზადებას. 26 მაისს რუმინელები ბრიუსელში შეხვდებიან ბელგიის ნაკრებს, 1 ივნისს გაემგზავრებიან იტალიაში და ქალაქ ბარიში მოემზადებიან პირველი მატჩისთვის, რომელიც 9 ივნისსაა დანიშნული სსრ კავშირის ნაკრებთან.



იტალიაში ითამაშეგენ...

ლოთარ მათეუსი

ლოთარ მათეუსმა შარშანწინ, თავისი დაბადების 33-ე წელს ჟურნალისტებს განუცხადა: „როგორ გავატარებ ამ დღეს? ჩვეულებრივ! დავლევ ყავას, წავალ სავარჯიშოდ, სადილისთვის შინ დავბრუნდები, ორ საათს წავიძინებ, მივირთმევ ნამცხვარს და თერთმეტ საათზე საწოლში ვიქნები“.

ვფიქრობთ, ნათელია იმ დიდი წარმატების მექანიზმი, რომელსაც მათეუსმა მიაღწია. ერთი წლის განმავლობაში იგი მოყვარულთა გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში მოხვდა, 19 წლისამ ევროპის 1980 წლის ჩემპიონატზე ითამაშა და მოგვიანებით, მარადონასა და ზიკოს „მეურვეობამ“, საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. მშობლიურ მიუნხენგლადბიდან 1984 წელს ლოთარი მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა.

ფეხბურთელის კარიერაში ბრმა შემთხვევა ჩაერია. მაშინ, როდესაც საუკეთესო ფორმაში იყო და „ბაიერნს“ მნიშვნელოვანი მატჩები ელოდა ბუნდესლიგაში და ჩემპიონთა თასზე, მათეუსი „ნორიმბერკთან“ მატჩში მძიმედ დაშავდა. „ბაიერნის“ მწვრთნელმა იუპ ჰეინკესმა მომხდარს შემდეგი კომენტარი გაუკეთა: „მათეუსი ღმერთმა ყველა მადლით დააჯილდოვა, მაგრამ წლების განმავლობაში თავის თავს ვერაფერი შემატა“.

მწვრთნელის ეს სიტყვები განაჩენს ჰგავდა. მართლაც, მათეუსმა ვერ შეისისხლხორცა ანგარება, პრაქტიკულობა, აგრესიულობა, ფეხბურთი მისთვის თამაშად დარჩა. ამის თაობაზე „შპიგელი“ წერდა: „იგი ან დიდი ბიჭუნაა, ან კიდევ ყველაზე ხანდაზმული ბავშვი-ვარსკვლავი“. ჟურნალისტები კვლავ და კვლავ ახსენებდნენ თუ რამდენჯერ ეპყრა ლოთარს ხელთ მატჩის ბედის სადავეები და რამდენჯერ მოეცარა ხელი ბავშვური უდარდელობის გამო.

და სწორედ ასეთ სიტუაციაში შედგა ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი დიდი გარიგება: ლოთარ მათეუსი მილანის „ინტერმა“ 7,5 მილიონ დასავლეთგერმანულ მარკად შეიძინა. ეს მოხდა 1988 წელს. გერმანელი გულშემატკივრები მისტიროდნენ უცხოეთში გამგზავრებულ ფიოლერს, ბრემეს (იგიც „ინტერში“ გადავიდა), კლინსმანს, მათეუსის დაკარგვა კი თითქოს ვერავინ შეამჩნია და, როგორც დრომ აჩვენა, სრულიად უსაფუძვლოდ („ინტერი“ იმ წელსვე იტალიის ჩემპიონი გახდა).

მილანში მათეუსი უზარზეიმოდ ჩავიდა. გაერიდა ხმაურიან ქალაქს და დასახლდა პატარა, მყუდრო დაბა კარომანტეში, მილანიდან 30 კილომეტრის მოშორებით. მალე იტალიელი ჟურნალისტებიც ესტუმრნენ. მათეუსმა თავის მოვალეობად ჩათვალა ინტერვიუ იტალიურ ენაზე წარმართა და ბევრიც იწვალა, სამაგიეროდ, იტალიელები ვერ მალავდნენ მოულოდნელი სიურპრიზით გამოწვეულ სიხარულს. მაგრამ მეორე დღეს გაზეთებში წაკითხულმა კიდევ უფრო მეტად თვითონ მათეუსი გააოცა. აღმოჩნდა, რომ იგი უაღრესად მომზიბვლელი, თავმდაბალი, წესიერი კაცი ყოფილა. არ აპირებდა თანაგუნდელების დაჩრდილვას და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა „ინტერის“ გამარჯვებებში. ჟურნალისტებს არც ის დავიწყნიათ, რომ ლ. მათეუსმა ინტერვიუ იტალიურად წარმართა.

მალე ლ. მათეუსი ყველაზე საყვარელ უცხოელ ფეხბურთელად იქცა. მარადონა დისციპლინას არღვევდა, ბასტენი ფინანსურ კონფლიქტებში გაეხვია, კარეკას ჭირვეულობას საზღვარი არ ჰქონდა და მხოლოდ მათეუსი იყო ყველაფერში სამაგალითო.

როდესაც „ინტერის“ ბურთსდაუფლებული მეათე ნომერი გადაკრის თავის ნახევარს და მოწინააღმდეგის კარისკენ დაიძრება, გადაჭედილი სტადიონი ფეხზე დგება, დაუღლელი მათეუსი გზად რამდენიმე მეტოქეს ატყუებს, უძლიერესად ურტყამს კარში ან აწვდის უზუსტეს პასებს. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ მთავრდება მისი რეიდები, გულშემატკივრები მაინც ხანგრძლივი ოვაციებით ხვდებიან მათეუსის ყველა სოლო-გარღვევას.

მოამზადა ფავით დემეტრაშვილმა.

საუკეთესოა თავდასხმა

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ახლახანს გაზეთმა „დოიჩეს შპორტეზომ“ (გდრ) ჩამოართვა ახლო წარსულში გფრ-ის შესანიშნავ ფეხბურთელს კარლ ჰაინც რუმენიგეს.

● ბოლო ხანს ხშირად მონაწილეობთ ფირმა „ადიდასის“ ღონისძიებებში...

— „ადიდასთან“ ხელშეკრულებით ვარ დაკავშირებული და მის ინტერესებს წარმოვადგენ უცხოეთში. ვმონაწილეობდი აშშ-ში, იაპონიასა და შვეიცარიაში გამართულ კონფერენციებზე. გამოვედი მოხსენებებით.

● ამჟამინდელი თქვენი საქმიანობა თუ განსაზღვრავს თქვენს მომავალს?

— ახლა მართლაც კომერციული საქმეებით ვარ დაკავებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უარი განვაცხადო მწვრთნელობაზე ან მენეჯერობაზე. საერთოდ კი საორგანიზაციო სფეროში მსურს ვიღვაწო.

● რა ამბლუაში ვიხილავთ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე წარსულში ცნობილ ფეხბურთელს?

— იტალიაში ჟურნალისტთა კოჰორტაში ვიქნები. ვამუშავებ გფრ-ის პირველი ტელეპროგრამისათვის — „არდ“-ისთვის და ფირმა „ადიდასის“ ინტერესებს დავიცავ. გფრ-ის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ყოველდღიურ გაზეთში გამოვაქვეყნებ წერილებსა და სტატიებს.

● რა აზრისა ხართ გფრ-ის ნაკრების თავდამსხმელთა ტრიოზე — რუდი ფიოლერზე, ჰანს-იურგენ კლინსმანსა და კარლ ჰაინც რიდლზე?

— ნაკრებში საუკეთესო რგოლს სწორედ თავდასხმა წარმოადგენს. რაც შეეხება დაცვით ხაზს, ვიტყოდი, რომ იგი ნაკრების აქილევსის ქუსლია.

● და მიუხედავად ამისა, გახდება თუ არა გფრ-ის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი?

— ნაკრების ახლანდელი თავდასხმა, რომელსაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, უფრო ძლიერია, ვიდრე 1986 წლის ფორვარდთა ტრიო ფიოლერი-ალოფსი-რუმენიგე. ჩემპიონატამდე უკანა ხაზის პრობლემებიც შეიძლება მოგვარდეს...

მასალა მოამზადა
ვალხაზ რადიანმა.

ქულაც არ დაუკარგავს

მოჭიდავეთა საკავშირო პირველობები ახალგაზრდებს შორის საკმაოდ მაღალი დონის ტურნირებია, რადგან ბევრ მონაწილეს მოზრდილთა ჩემპიონატებში აქვს ნათლობა მიღებული და პირველ ნაკრებში მოხვედრაზე აცხადებს პრეტენზიას.

დაძაბული შერკინებები გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა წლევანდელ საკავშირო პირველობაზეც, რომელსაც ამ დღეებში ორჯონიკიძე მასპინძლობდა. საქართველოს გუნდის წევრთაგან ექვსმა მოიპოვა სხვადასხვა ღირსების ჯილდო, მაგრამ მათ შორის მაინც უნდა გამოვარჩოთ თბილისელი მერაბ ვალიევი. მარტო იმის გამო არა, რომ მხოლოდ მან მოიპოვა პირველი ადგილი. საქმე ისაა, რომ ჩვენი მძიმე წონის მოჭიდავე შვიდჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და არც ერთ შეხვედრაში ქულაც კი არ დაუკარგავს! საკავშირო პირველობაში გამარჯვებული, რომელიც ახალგაზრდებს შორის მსოფლიო თასის მფლობელიც გახლავთ, „მართვეს“ გუნდის წევრია (მწვრთნელები შოთა კოტორაშვილი და ვანო ნიკოლაძე).

68 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში ასპარეზობდა გორელი გიორგი ხინჩიკაშვილიც („შევარდენი“), მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა მეტოქემ ქულაც ვერ დაამსახურეს და ორივეს წაგება ჩაეთვალა. მათ ვერცხლის მედლები გადაეცათ.

დანარჩენმა ოთხმა ჩვენმა ფალავანმა ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. ესენი არიან: თბილისის გუნდის წევრები გივი სისაური (57 კგ), გიორგი ივანიშვილი (74 კგ) და ელდარ კურტანიძე (90 კგ), აგრეთვე სოხუმელი გელა უბილავა (100 კგ).

კალეიდოსკოპი

● **იუნიორ** ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს ბოლოს და ბოლოს გამოუჩნდა მასპინძელი. ეს ტურნირი ჩატარდება 30 მარტს–1 აპრილს საფრანგეთის ქალაქ დიჟონში. ადრე, როგორც ცნობილია, ჩემპიონატის ორგანიზაციაზე უარი გაანცხადეს ჯერ არგენტინამ, შემდეგ კი ბრაზილიამ.

● **გფრ-ის** ტელევიზიის პირველი არხის გადაცემათა 15 პროცენტი წლეულს სპორტს დაეთმობა, რაც საერთო ჯამში, 30 ათასამდე წუთს შეადგენს.

● **დასავლეთ გერმანიის** პროფესიული ფეხბურთის ლიგაში აშკარად შეიმჩნევა მონაწილეთა შემცირების ტენდენცია. ვარაუდობენ, რომ 1993-1994 წლების ჩემპიონატში გამოვა 16 გუნდი. ეს ყველაფერი გაირკვევა ლიგის ხელმძღვანელთა სხდომაზე, რომელიც 28 აპრილისათვისაა დანიშნული.

● **თვითმკვლელობით** დაასრულა ცხოვრება თურქეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მეკარემ, 49 წლის საბრი დინომ. იგი ბოსფორის ხიდიდან გადახტა წყალში. დინომ, მას შემდეგ რაც თავი დაანება ფეხბურთს, ბიზნესს მიჰყო ხელი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მის მიერ ჩამოყალიბებული ფირთლეულის ფირმა გაკოტრდა და დინოს მილიონნახევარი დოლარი ვალი დაედო.

● **ინდონეზიის** დედაქალაქ ჯაკარტაში გაიმართა აზიის ოლიმპიური საბჭოს (მასში გაერთიანებულია 39 ქვეყანა) კონგრესი, რომელმაც თავის რიგებში მიიღო მეორმოცე სრულუფლებიანი წევრი — მაკაოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

● **საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სამარანჩმა რუმინეთის სპორტულ ფედერაციებს დახმარების სახით გადასცა 100 ათასი დოლარი, რომელიც დასავლეთის ფირმებმა გაიღეს. თავად პრეზიდენტმა რუმინეთის ოლიმპიურ კომიტეტს კომპიუტერი აჩუქა.

● **იტალიის** საუკეთესო ჩოგბურთელი პაოლო კანე, რომელმაც სენსაციური გამარჯვებები მოიპოვა დევისის თასის გათამაშებაში, მონაწილეობას ვერ მიიღებს ოლიმპიურ ტურნირში. საქმე ისაა, რომ ამ ცოტა ხნის წინ იგი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამოდიოდა, ამ ქვეყნის სპორტსმენებთან კონტაქტი კი სოკ-ს აკრძალული აქვს.

● **1991 წლის** პანამერიკულ თამაშებში, რომელიც ჰავანაში მოეწყობა, აშშ 700 სპორტსმენიან გუნდს გამოიყვანს.

● **ცნობილმა** პოლონელმა ალპინისტმა ქალმა 46 წლის ვანდა რუდკევიჩმა ამას წინათ მეხუთე რვაათასიანი მწვერვალი დალაშქრა — გაშერბრუმი, რომლის სიმაღლეა 8035 მეტრი. ასეთი წარმატება დღემდე მსოფლიოში არც ერთ ალპინისტ ქალს არ ჰქონია.

● **როგორც** ამტკიცებდნენ, თანამედროვე კულტურიზმი თავისი კონკურსებით ბრიტანეთის კუნძულებზე ჩაისახა. მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ანალოგიური შეჯიბრებები იმართებოდა 4000 წლის წინ ფარაონების კარზე. ამას მოწმობს ეგვიპტის ძველ პირამიდებზე აღბეჭდილი ნახატები.

● **22 წლის** პატრიცია მაკარი ბრაზილიური კალათბურთის უპირველეს ვარსკვლავად ითვლება. შარშან იგი პანამერიკულ თამაშებზე კონტინენტის №1 მოთამაშედ აღიარეს. ამას წინათ ამერიკელმა ჟურნალმა „პლეიბოიმ“ გამოაქვეყნა მაკარის 12 ფოტოსურათი. როგორც მომხილველებს მიაჩნიათ, ამ პუბლიკაციის მიზანია იმის დადასტურება, რომ დიდი სპორტი ქალს სულაც არ ართმევს სინატიფესა და მომხიბლაობას, პირიქით, უკეთ წარმოაჩენს მის ელეგანტურობას.

● **ჟ. ალენსგაზის** (გფრ) ერთ-ერთ ინსტიტუტში მოეწყო წამყვანი პოლიტიკოსების, დიდი თანამდებობის პირებისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების გამოკითხვა, მათ უნდა დაესახელებინათ დასავლეთ გერმანიის „ახალგაზრდობის კერპი“. გამოკითხულთა 41-მა პროცენტმა ასეთად შტეფი გრაფი მიიჩნია, 34-მა პროცენტმა — ბორის ბეკერი. დასახელებულთა შორის არიან აგრეთვე გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი, მოცურავე მიხაელ გროსი, ფეხბურთელები იურგენ კლინსმანი და უვე ზეელერი, ომამდე პოპულარული მოკრივე მაქს შმელინგი და სხვები.

● **სამგზის** (1948, 1952, 1956 წლებში) ოლიმპიურმა ჩემპიონმა კრივში, 63 წლის ლასლო პაპმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა ახალი ორგანიზაციის — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პროფესიონალ მოკრივეთა კავშირის — პრეზიდენტის პოსტზე. ამ ორგანიზაციის შტაბბინა ბუდაპეშტში იქნება და გააერთიანებს ოთხი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, იუგოსლავიისა და უნგრეთის პროფესიონალ მოკრივეებს.

კალეიდოსკოპი

13 წლის ჭაბუკი „ბრილიანტი“

** კი-ბიზკეინი** (ფლორიდის შტატი, აშშ). ჩოგბურთის სამყარო გულმოდგინედ ადევნებს თვალს 13 წლის ამერიკელი გოგონას ჯენიფერ კაპრიატის თავგზრუდამხვევ სპორტულ კარიერას. აი ახლაც, ამ ქალაქში მიმდინარე დიდი საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში „ვუნდერკიდმა“ დაამარცხა ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი ჰელენა სუკოვა — 6:3, 6:2. მესამე წრეში მისი მეტოქე თანამემამულე პეტი ფენდიკი იყო, რომელმაც პირველსავე პარტიაში შეწყვიტა წინააღმდეგობა ტრავმის გამო.

ამ ტურნირში პირველ ნომრად განთესილმა გაბრიელა საბატინიმ (არგენტინა) და იგან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) მორიგ ტურში შესაბამისად დაამარცხეს ბელგიელი სანდრა ვასერმანი (6:3, 6:4) და დასავლეთგერმანელი იენს ვოჰრმანი (6:7, 6:2, 6:1).

მეორე წრიდან გამოეთიშა ასპარეზობას უძლიერესი საბჭოთა ჩოგბურთელი ანდრეი ჩესნოკოვი. მას აჯობა ფრანგმა გი ფორჟემ 6:7 6:3, 6:3. კალინინგრადელმა ალექსანდრ ვოლკოვმა კი საკმაოდ ძლიერი ამერიკელი ტიმ მაიოტი დაამარცხა — 6:1, 6:4. ეს ამ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლავთ.

ზოგმა ჩოგბურთელმა მეოთხე ტურში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ესენია იუგოსლავიელი მონიკა სელენი (დაამარცხა იტალიელი ლაურა ლაპი — 6:1, 6:1) და შვედი სტეფან ედბერგი (აჯობა ბაგამელ როჯერ სმითს — 6:2, 2:6, 6:4). ავსტრალიელ მარკ კრატცმანთან მარცხის შემდეგ — შეჯიბრებას გამოეთიშა ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი იანიკ ნოა 4:6, 6:2, 6:7.

ᲐᲮᲠᲘᲙ ᲪᲕᲔᲘᲒᲐ — ᲙᲘᲔᲕᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲨᲘ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „იბერიისა“ (ყოფილი „დინამო“) და სსრ კავშირის ნაკრების წევრი სოხუმელი ფეხბურთელი ახრიკ ცვეიბა კიევს გაემგზავრა, სადაც იქაური „დინამოს“ შემადგენლობაში ითამაშებს საკავშირო პირველობაზე.

კიევის გუნდში თამაშის თაობაზე ა. ცვეიბასთან მოლაპარაკება ჰქონდა კიევის „დინამოსა“ და საკავშირო ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვ. ლობანოვსკის. თბილისელთა გუნდის საერთო კრებაზე მოთამაშეებმა მხარი დაუჭირეს ა. ცვეიბას, რათა იგი ერთი წლის მივლინებით გაემგზავროს კიევს და აქაური გუნდის შემადგენლობაში ითამაშოს სსრ კავშირის ჩემპიონატში.

მსოფლიო სპორტის ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲘ

საშიში პანჩო

ᲒᲝᲜᲖᲐᲚᲔᲡᲘ პროფესიონალური ჩოგბურთის ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენელია. მას ზედმეტ სახელად შეარქვეს საშიში პანჩო, რომელზეც უამრავი ლეგენდა დადიოდა.

რიკარდო ალონსო გონზალესი დაიბადა 1928 წელს ლოს-ანჯელესის მახლობლად. მისი მამა წარმოშობით შექსიკელი იყო. პანჩო, საკმაოდ ცელქი ბავშვი გახლდათ. იგი გამუდმებით ფათერაკებში იყო გახვეული (ერთხელ გორგოლაჭებიანი ციგურებით სრიალისას დაეტაკა პოლიციის მანქანას). მშობლებმა შვებით მაშინ ამოისუნთქეს, როდესაც 11 წლის ბიჭი ჩოგბურთმა გაიტაცა. 1946 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა სერიოზულ შეჯიბრებაში და დამაჯერებლად გაიმარჯვა. უკვე მომდევნო წელს პანჩომ შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია ამერიკულ სამოყვარულო ჩოგბურთში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მისი ლამაზი მოგება იუნიორთა ტურნირის გამარჯვებულ გერბ ფლამთან. ერთი წლის შემდეგ მან გაიმარჯვა ეროვნულ ჩემპიონატში, ფორესტ-ჰილში, რის შემდეგ უკვე აღარავის აეკვედა, რომ იზრდებოდა დიდი ჩოგბურთელი. 1949 წელს იგი უკვე მსოფლიო ჩოგბურთის ელიტას ეკუთვნოდა. უიმბლდონის ტურნირზე ბრაუნთან წაგების შემდეგ, მან კვლავ შეძლო მოეგო ფორესტ-ჰილის შეჯიბრება და გაემარჯვა დევისის თასის გათამაშებაში, სადაც ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში ირიცხებოდა.

სულ მოკლე დროში პანჩო ლიგის წამყვანი მოთამაშე გახდა და წლების განმავლობაში შეუბრალებლად უსწორდებოდა კრამერის მიერ საარონგ პარტნიორებად შერჩეულ მოთამაშეებს. გონზალესთან საბრძოლო ნათლობას იღებდნენ როზუოლი, ხოადი, კუპერი, ოლმედო და მრავალი სხვა.

დაიღალა რა ხშირი შეჯიბრებებისაგან, 1961 წელს გონზალესმა დატოვა ლიგა და პლიაჟზე გახსნა საკუთარი ჩოგბურთის სკოლა. ჰოლივუდთან ახლოს, მაგრამ მცირე ხანში აქტიურ ცხოვრებას შეჩვეული 39 წლის პანჩო კვლავ დაუბრუნდა პროფესიონალურ ჩოგბურთს.

ბევრი სპორტსმენი და ჟურნალისტი თვლიდა, რომ პანჩო გამაღიზიანებელი და ბუზღუნა ადამიანი იყო. იგი შიშის ზარს სცემდა გვერდით მსაჯებს, ფოტორეპორტიორებს და მოთამაშეებს. პანჩო აგრესიული სპორტსმენის განსახიერება გახლდათ, რომელიც ყოველთვის მზად იყო, სასტიკად გასწორებოდა მეტოქეს. იგი სპეციალურად აღაგზნებდა თავის თავს მატჩისათვის, საჭიროდ თვლიდა არ ეპამა საშმელი შეხვედრის წინ, რადგანაც მშიერი კუჭით იგი უფრო ულმობელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, სხვა სპორტსმენებისათვის ასეთი „სპარტანულობა“ მიუღებელი იყო. პანჩო ვარჯიშში თავდაუზოგავი იყო. იგი ყოველთვიურად 9-დან 5 საათამდე ვარჯიშობდა, ხოლო მას შემდეგ რაც 40 წელს გადააბიჯა, მხოლოდ 2-3 საათს უთმობდა წვრთნას, შეჯიბრების დღეებშიც კი.

გონზალესი საკმაოდ მომთხოვნი იყო თავისი თავის მიმართ, მისი აზრით ბევრი მოყვარული ჩოგბურთელი ძალზე ცოტას ვარჯიშობდა, ცუდად იხსენიებდა ისეთ ჩოგბურთელებსაც, რომლებიც ბევრს ჭამდნენ და წონაში მატულობდნენ.

პანჩო ორგანულად ვერ იტანდა ფოტორეპორტიორებს, კინო და ტელეოპერატორებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თამაშის დროს აპარატურით ხელში ისინი გვერდით ხაზთან მოკალათდებოდნენ. აპარატის ერთი გაჩხაკუნებაც კი საზალესის მოწოდება, რის შემდეგაც ბურთის სიჩქარე აღწევდა 164 კმ/სთ (ფოტოელემენტის მეშვეობით იყო გაზომილი) სიჩქარეს, ბრწყინვალე თამაში ბადესთან, უკიდურესი მობილიზება საერთოდ აღტაცებას იწვევდა. აი რა თქვა ფრანგმა ჩოგბურთელმა ბარტესმა მასთან შეხვედრის შემდეგ: „როდესაც ბადის მეორე მხარეს ვხედავ პანჩოს, ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ჩემს წინ არწივია, რომელიც უზარმაზარი ფრთებით მთელს მოედანს ფარავს, ზედმეტად იგი არ ჩქარობს. რაც არ უნდა აკეთოს მან, მაინც ყველაფერი ბრწყინვალედ გამოდის“.

მატჩის წინ მისთვის არ არსებობდა არც სამეურნეო პრობლემები, არც საუბარი ჟურნალისტებთან, არც ტელეგადაცემები და არც არანაირი გასართობი. მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ მატჩისწინა „ციებ-ცხელება“ ეუფლებოდა. ცნობილია, რომ იგი ასეთი დაძაბულობის დროს იღვიძებდა ღამის 3 საათზე და დილამდე თავის ოთახში ბოლთას სცემდა. გასახდელში ხმას არავის სცემდა. მისი თამაშის ნახვა ერთი სიამოვნება იყო. ყველა დარტყმას იგი ასრულებდა ზუსტად და ელვისებურად, ყოველთვის ასწრებდა ურთულესი ბურთების აღებას.

პანჩო ხშირად ატარებდა ექსპერიმენტებს, სურდა, რომ მისი თამაში კიდევ უფრო დახვეწილი გამხდარიყო, ამიტომ იგი აკვირდებოდა და სწავლობდა კრამერის მარჯვენა და ბაჯის მარცხენა მხრიდან დარტყმებს. ახალი ილეთების დახვეწას იგი დიდ დროს უთმობდა.

გონზალესი ტიპიური წარმომადგენელია ეგრეთწოდებული „ბიგ გეიმის“ (დიდი თამაშის). მძლავრი თამაში მთელს მოედანზე ყველაზე უფრო მეტად გამოხატავდა პანჩოს ხასიათს, რომელიც საკმაოდ რისკიანიც გახლდათ. ერთადერთი ჩოგბურთელი იყო როზუოლი, რომლის წინააღმდეგაც პანჩო ყოველი ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად იყენებდა ცრუ დარტყმებსაც.

მხოლოდ თმაში შერეული ჭაღარით თუ მიხვდებოდით, რომ იგი იყო უკვე ხნიერი ჩოგბურთელი, რომელიც ბოლო პერიოდში თავს არიდებდა მზეში თამაშს და ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად მოეთავებინა მეტოქესთან საქმე.

აღსანიშნავია, აგრეთვე, გონზალესის ბუნების ერთი დადებითი თვისებაც. თუკი იგი ჩოგბურთელში ხედავდა თავდადებულ მებრძოლს, მაშინ სულით და გულით ეხმარებოდა მას ოსტატობის ამაღლებაში, მისი დიდი დამსახურებაა, რომ მარია ბუენო და დენის როლსტონი ძლიერ ჩოგბურთელებად ჩამოყალიბდნენ.

ცნობილია მისი განსაკუთრებული სიყვარული ბავშვების და ცხოველების მიმართ. ეს ფაქტი გამორიცხავს ერთგვარ მითს იმის შესახებ, თითქოს იგი იყო „კაციჭამია-ვეფხვი“. მოედნის გარეთ რიკარდო ალონსო გონზალესი საკმაოდ კეთილშობილი ადამიანი გახლდათ.

პუბლიკაცია მოამზადა
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲘᲒᲚᲐᲫᲔᲛ.

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ იტალიური საავტომობილო კომპანია „ფიატის“ მფლობელმა ჯოვანი ანელიმ, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე საფეხბურთო კლუბი „იუვენტუსი“, თავისი დაწესებულების ასიათასიან კოლექტივს გამოუცხადა, რომ წლევანდელი ზაფხულის სამუშაო დღე შემცირდება. ასეთი გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ მის ქვეშევრდომთ საშუალება ჰქონდეთ თვალყური ადევნონ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს. იტალიური გაზეთები აღნიშნავენ, რომ თაოსნობას მხარს უჭერს პროფკავშირები და ალბათ, მას მიბაძავენ სხვა დიდი დაწესებულებები.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-11 ტირაჟები.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 6 45“-ᲓᲐᲜ: 13 (სათხილამურო სპორტი), 17 (საცეგურაო სპორტი), 18 (მძლეოსნობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 37 (აკრობატიკა).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 5 36“-ᲓᲐᲜ: 19 (სათხილამურო რბოლები), 22 (წყალში ხტომა) 24 (ხელბურთი) 25 (საცეგაო სპორტი), 28 (ტყვიის სროლა).

„სპორტლოტო 5 36“-დან მე-10 ტირაჟში მონაწილე ბილეთებს, რომელთა ნომრებია 477459 სერია 258, 733814 სერია 119, 013662 სერია 105 წილად ხვდათ კეთილ ნების თამაშებზე (აშშ) გასამგზავრებელი უფასო საგზურები.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲒᲔᲓᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 22 ᲛᲐᲠᲢᲘ.

რედაქტორი
თ. ᲕᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 330096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ — თბილისი, „ლელო“,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივნო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58,
„მერანი“ — 98-97-26, „მართვე“ — 98-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრუნვის წიგნიერ დროშის ორდენიანი სტამბა. 330096, თბილისი, ლენინის ქ. 14, ანაწილების ოფსეტური წესით ბეჭდვითი კორპუსში: ბოლტაევის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743